მშობლით გაშუალებული ინტერვენცია ტელეპრაქტიკის გამოყენებით

ელენე ლურსმანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

სარჩევი

აბსტრაქტი....4

Abstract....5

მადლობა....6

კვლევის აქტუალობა....7

ლიტერატურული მიმოხილვა....8

აუტიზმი: ინტერვენცია და მშობლების გაძლიერება....8

მშობლის გაძლიერების თეორია....11

მშობლის ქოუჩინგი....14

ტელეპრაქტიკა აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებთან....16

ვიდეო უკუკავშირი....20

პოზიტიური მშობლობა....22

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეების გავლენა ქცევით, სოციალურ და ემოციურ სფეროზე....24

SCERTS....26

კვლევის დიზაინი....33

პროცედურა....36

ინტერვენციამდე....36

ინტერვენცია....37

ინტერვენციის შემდეგ.....38

შედეგები.....39

კვლევის მონაწილეები.....39

A მშობელი-ბავშვის შემთხვევა.....41

B მშობელი-ბავშვის შემთხვევა.....64

C მშობელი-ბავშვის შემთხვევა.....86

კვლევის დისკუსია/ანალიზი.....104

კვლევის ღირებულებები.....108

კვლევის შეზღუდვები..... 109

დასკვნა.....111

გამოყენებული ლიტერატურა.....112

დანართი 1 და 2 115

აბსტრაქტი

კვლევა ეხება მშობლისა და ბავშვის კომუნიკაციის პროცესს და მიზნად ისახავს კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებას მშობლების გაძლიერებისა და ქოუჩინგის გზით.

ნაშრომი მოიცავს 3 შემთხვევის ანალიზს. ვიდეოს განხილვისთვის კომუნიკაციის ქცევების შერჩევა SCERTS მოდელით განსაზღვრული კოდების მიხედვით მოხდა. კვლევაში აღწერილია რა ეტაპები გაიარეს მშობლებმა და მათმა შვილებმა 5 კვირის განმავლობაში, როგორ შეიცვალა მშობლების მიერ საკომუნიკაციო პროცესთან დაკავშრებული საკუთარი და ბავშვის ქცევების აღქმა, მათი შვილების საჭიროებებთან გამომდინარე. კვლევაში მოპოვებული როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების აღწერა და ანალიზი წარმოაჩენს მშობლების და შვილების მონაცემების ცვლილებებს შემდეგ სფეროებში: ემოციური რეგულაცია, ტრანზაქციული მხარდაჭერა და სოციალური კომუნიკაცია.

ვიდეო-ინტერაქციაზე დაფუძნებული ქოუჩინგის ინტერვენციის პერიოდში თვალსაჩინო ცვლილებები გამოიკვეთა მშობლისა და ბავშვის ინტერაქციის პროცესში, რაც დადებითად აისახა მშობლის და ბავშვის საკომუნიკაციო კომპონენტების ცვლილებაზე, რაზეც SCERTS მოდელიდან მიზნობრივად შერჩეული კოდების ცვლილებაც მეტყველებს. მშობლების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლინა ისეთ კომპონენტებში, როგორებიცაა: მშობლის მხრიდან ბავშვის განვითარების შესაბამისი აქტივობების შერჩევა, ბავშვის ყურადღების ფოკუსის გათვალისწინება და მიყოლა, ბავშვის საკომუნიკაციო სიგნალებზე სათანადო რეაგირება... ხოლო ბავშვების შემთხვევაში გაუმჯობესდა განზრახვის გაზიარების, პოზიტიური ემოციის გაზიარების, ადამიანებისკენ ყურების და სხვა კომპონენტები.

მთავარი საკვანძო სიტყვები: სოციალური კომუნიკაცია, ტრანზაქციული მხარდაჭერა, ემოციური რეგულაცია, ქოუჩინგი, ვიდეო უკუკავშირი, SCERTS მოდელი.

Abstract

The study embraces the parent-child communication process and aims to improve the communicative relationship through parental empowerment and coaching.

The paper includes 3 case studies. The selection of communication behaviors for the video review was based on the codes defined by the SCERTS model. The study describes what stages parents and their children went through during 5 weeks, how parents' perception of their own self and the child's behaviors related to the communication process changed, depending on the needs of their children. Description and analysis of both quantitative and qualitative data collected in the study revealed modifications in parent and child data in the following directions: emotional regulation, transactional support, and social communication.

During the intervention of video-interaction-based coaching, visible alternations were revealed in the process of parent-child interaction, which was positively reflected in the change of parent-child communication components, which is also evidenced by the change in purposefully selected codes from the SCERTS model. In the case of parents, significant changes were detected in such components as: parent's selection of relevant activities for child's development, considering and following child's focus of attention, appropriate response to child's communication signals... and in the case of children - sharing of intention, positive emotion, looking at people, and other components improved.

Keywords: social communication, transactional support, emotional regulation, coaching, video feedback, SCERTS model.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მშობლებს, რომლებიც ბოლომდე ჩართულნი იყვნენ პროცესში, იაზრებდნენ და იზიარებდნენ კვლევის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ პროცესის მიმდინარეობას.

ასევე, განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქ. ნინო გოგიჩაძეს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.